საჯარო სამართლის იურიდიული პირი ლ. საყვარელიძის სახელობის

დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი

National center for Disease Control & Public Health

KA030617591815120

საქართველო, ქ. თბილისი, 0198, კახეთის გზატკეცილი N99; ტელ: (+995 32) 2192595; ცხელი ხაზი: 116001
Kakheti Highway N99, 0198, Tbilisi, Georgia; Tel: (995-32) 2192595; Hot line: 116001; E-mail: ncdc@ncdc.ge

#06/749 **12 / მარტი / 2020 წ.**

საქართველოს ოკუპირებული
ტერიტორიებიდან დევნილთა,
შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური
დაცვის მინისტრს ქალბატონ ეკატერინე
ტიკარაძეს

ქალბატონო ეკატერინე,

ახალი კორონავირუსის - COVID-19-ის საწინააღმდეგო პრევენციული ღონისძიებების გატარების მიზნით დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნულმა ცენტრმა გამოხატა მზადყოფნა მარაგში არსებული პირადი დაცვის აღჭურვილობებით და ასევე, ცენტრმა ლუგარის ლაბორატორიაში COVID-19-ის გარკვეული რაოდენობის კვლევების ჩატარება უზრუნველყო დამატებითი ფინანსური რესურის გამოყოფის გარეშე.

ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ პანდემიის გამოცხადებასთან დაკავშირებით დღის წესრიგში დადგა საქართველოში დამატებითი ღონისძიებების ჩატარების საჭიროება. ცენტრის მიერ პანდემიური გეგმაზე დაყრდნობით მომზადებული ინფექციის გავრცელების მოდელირებული სცენარის მიხედვით პიკის პერიოდისათვის ქვეყანაში უნდა არსებობდეს გარკვეული რაოდენობის მატერიალურ ტექნიკური რესურსი, კერძოდ:

1. 40 000 შესაძლო შემთხვევის ნიმუშზე გათვლილი საჭირო რეგენტები (საორიენტაციო ღირებულება 2 000 000 ლარი);

2. დაწყებული ლაბორატორიული ქსელის დეცენტრალიზაციისათვის დამატებითი აპარატურის შესყიდვა (საორიენტაციო ღირებულება 450 000 ლარი);

3. პირადი დაცვის აღჭურვილობების მარაგების შევსება ცენტრის ყველა ლოკაციაზე მ.შ. რეგიონები (საორიენტაციო ღირებულება 350 000 ლარი).

ასევე, კარანტინისა და თვითიზოლაციაში მყოფი პირებისათვის ეპიდანამნეზისა და ნიმუშების აღება-ტრანსპორტირებასთან დაკავშირებით რადიკალურად გაიზარდა ცენტრის ავტოპარკის დატვირთვა და მოსალოდნელი პიკის პერიოდისათვის არსებული რესურსით შეუძლებელი იქნება მოთხოვნის დაკმაყოფილება. აღნიშნულისათვის სასურველია ცენტრის საკუთრებაში არსებული 4 ამორტიზებული მანქანის ჩანაცვლება მინიმუმ 3 ახალი სპეცმანქანით (პიკაპი), რომლის სავარაუდო ღირებულებაა 200 000 ლარი.

გთხოვთ, თქვენს თანხმობას ზემოთ ჩამოთვლილი ვალდებულებების შესასრულებლად მიმდინარე ეტაპისათვის ბიუჯეტის ასიგნება გაგვიზარდოთ 3 მლნ. ლარამდე.

პატივისცემით,